MES 7 23 0000376560

04/04/2023

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

დავით მალაზონია - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
მანანა ჯინჭარაძე - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ინოვაციური განათლების პროგრამის კონსულტანტი, საბჭოს მდივანი;
ეკატერინე კვირიკაშვილი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ძველი თბილისის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი.
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;
ქეთევან ნატროშვილი - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;
პერტე ბაბილუა - შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
მაკა მამფორია - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
ზვიად გოგუაძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქალაქ ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
მორის დანდურიშვილი - სსიპ-ქალაქ ხაშურის N1 საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, საბჭოს წევრი;
ნატო გაბოშვილი - შპს საქართველოს უნივერსიტეტის მასწავლებელთა დაკვირვებისა და მენტორინგის პროგრამის მათემატიკის მიმართულების ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
შალვა მეკრავიშვილი - სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქ. რუსთავის N2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

თამარ შენგელია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
ნინო სტეფანიშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
მზია ყანჩელი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;

მარი მგელაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
გვანცა ნინიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ნია გრიგალაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;
თამარ ფიფია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს მზეკაბანი
ბელა გოცირიძე-სკოლის დირექტორი
დავით ჯანიაშვილი-სკოლის იურისტი

შპს აპოდიქსი
თეა ქოიავა-სკოლის დირექტორი

ა(ა)იპ-საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზია
მელქისედეკ ხაჩიძე-სკოლის წარმომადგენელი

შპს ალექსანდრე ღურწკაიას გიმნაზია-ჯიჯი
ნინო ჭიჭინაძე-სკოლის წარმომადგენელი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):

შპს მზეკაბანი
ლიანა კობესაშვილი
მაკა ტუკვაძე

შპს აპოდიქსი
ქეთევან ბოტკოველი
მაკა ნადარეიშვილი

ა(ა)იპ-საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზია
მაკა ტუკვაძე
თეა გაბელაია

შპს ალექსანდრე ღურწკაიას გიმნაზია-ჯიჯი
ლელა ჯაში
მაგდა ბარამიძე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) 17-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია. კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) შესაძლო

გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა 2023 წლის 21 მარტს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 15:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-17-ე მუხლის მე-5-ე პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე-20-ე მუხლის მე-7-ე პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. შპს მზეკაბანი 2-ის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს აპოდიქსის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. ა(ა)იპ-საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. შპს ალექსანდრე ღურწკაიას გიმნაზია-ჯიჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. დღის წესრიგში ცვლილებასთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი, შესაბამისად, დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელმა შუამდგომლობით მიმართა საბჭოს დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყებამდე, ემსჯელათ შპს ქართულ-ამერიკულმა სკოლა პროგრესის მიმართ გაცემული რეკომენდაციის შესრულების საკითხთან დაკავშირებით. საბჭომ გაიზიარა წარმოდგენილი შუამდგომლობა, შედეგად, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის დაწყებამდე, გადაწყდა შპს ქართულ-ამერიკული სკოლა პროგრესის საკითხის შესახებ მსჯელობა. ცენტრის თანამშრომლის განმარტებით, შპს ქართულ-ამერიკულ სკოლა პროგრესს 2022 წლის 26 სექტემბრის საბჭოს სხდომაზე, საბჭოს წევრების ერთობლივი გადაწყვეტილებით განესაზღვრა რეკომენდაცია: 2022 წლის 10 ოქტომბრამდე ცენტრში წარმოედგინა ქ. ბათუმში არსებული ახალი შენობის სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლოს ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნა შენობის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, ხოლო 2022 წლის ბოლომდე ცენტრში წარმოედგინა შენობის ექსპლუატაციაში შესვლის დამადასტურებელი დოკუმენტი. დაწესებულებამ 2022 წლის 29 სექტემბერს წარმოადგინა სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა შენობის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით. ასევე, 2022 წლის 30 დეკემბერს ცენტრში წარადგინა წერილი, რომლითაც იუწყებოდა, რომ ექსპლუატაციაში მიღების დოკუმენტი წარმოდგენილი იქნებოდა თებერვლის ბოლოს. დაწესებულებას მას შემდეგ არ წარმოუდგენია ექსპლუატაციაში შესვლის დოკუმენტი. სკოლამ 17 მარტს ცენტრში წარმოადგინა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გაცემული თანხმობის დოკუმენტი არქიტექტურულ პროექტში ცვლილებების შეტანისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ. წერილში განმარტებული იყო, რომ აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენდა შენობის ექსპლუატაციაში შესვლის პირველ ეტაპს, რომელიც დასრულდებოდა ერთი თვის ვადაში.

საბჭოს თავმჯდომარემ, აღნიშნა, რომ დაწესებულების მხრიდან ყოვნდებოდა შენობის ექსპლუატაციაში შესვლის დოკუმენტის წარმოდგენა. შესაბამისად, მან მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეზუსტებინათ სკოლაში მიმდინარე პროცესები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.
სკოლის თანადამფუძნებელმა „ანაგი განათლების“ იურისტმა, დავით ანდღულაძემ, განაცხადა, რომ დაწესებულებას შენობის ექსპლუატაციაში შესვლის დოკუმენტის წარმოდგენისთვის განსაზღვრული ჰქონდათ ვადა დეკემბრის ბოლომდე. თუმცა მათგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, ადმინისტრაციული წარმოება გადავადდა. დავით ანდღულაძემ განმარტა, რომ, დაწესებულებამ 2022 წლის 02 სექტემბერს მიმართა ბათუმის მერიის მუნიციპალიტეტის ქალაქ-გეგმარების სამსახურს და სთხოვა, მიეღოთ უფლება სკოლის შეთანხმებულ პროექტში ცვლილებების განხორციელების შესახებ, რათა დაწესებულებისთვის მიენიჭებინათ მუნიციპალური მნიშვნელობის პროექტის სტატუსი. აღნიშნული ადმინისტრაციული წარმოების ვადა წარმოადგენდა 1 თვეს, შესაბამისად, დაწესებულებას ჰქონდა მოლოდინი, რომ დოკუმენტის მიღებას შეძლებდა ოქტომბრის თვის დასაწყისში. დავით ანდღულაძის, თქმით, აღნიშნულთან დაკავშირებით, 2022 წლის 17 ოქტომბერს ბათუმის მერიის მუნიციპალიტეტის ქალაქ-გეგმარების სამსახურმა, დაწესებულებას მიმართა წერილით, სადაც იუწყებოდა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული წარმოების ვადა გაიზარდა დამატებით სამი თვით, 2023 წლის 17 იანვრამდე. აქვე, დავით ანდღულაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულებას მუნიციპალური მნიშვნელობის მქონე სტატუსი 2023 წლის 25 იანვარს მიენიჭა.
იურისტმა, დავით ანდღულაძემ, განაცხადა, რომ აღნიშნული სტატუსის მინიჭების შემდეგ, სკოლამ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში შეიტანა განცხადება პროექტში ცვლილების შეტანასთან დაკავშირებით. მისი თქმით, როგორც განხილვის პროცესში გახდა ცნობილი ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის სამსახურში დაწესებულებას ჰქონდა ჯარიმა გადასახდელი სანებართვო პირობების დარღვევასთან დაკავშირებით, რაზედაც დავით ანდღულაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულება აღნიშნულის შესახებ არ იყო ინფორმირებული. დაწესებულებამ აღნიშნული ჯარიმა გადაიხადა 2023 წლის 22 თებერვალს. ჯარიმის გადახდის შემდეგ კი სკოლამ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში შეიტანა განაცხადი სკოლის პროექტში ცვლილებების განხორციელების თაობაზე.
დავით ანდღულაძის განმარტებით 2023 წლის 15 მარტს დაწესებულებამ მიიღო შენობის ისეთი შეთანხმებული პროექტი, როგორსაც სკოლა დღეს წარმოადგენდა.
აქვე, იურისტმა დავით ანდღულაძემ განაცხადა, რომ უახლოეს დღეებში სკოლა მიმართავდა ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას, სკოლის შენობის ექსპლუატაციის შესახებ ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.
საბჭოს წევრმა, ნატო გაბოშვილმა, მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს დაედასტურებინა დაცული იყო თუ არა უსართხოების ნორმები სკოლის შენობაში, სადაც დამატებული იყო ერთი სართული. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო ჩიკვაშვილმა, განმარტა, რომ შენობის მეოთხე სართულის სივრცის ნაწილი დაეთმო ადმინისტრაციას, საკონფერენციო და მასწავლებელთა სამუშაო სივრცეს. მისი თქმით, აღნიშნულ სივრცეში დაცული იყო უსაფრთხოების ყველანარი ზომა. სამუშაო და სასწავლო პროცესები კი მიმდინარეობდა შეუფერხებლად. აქვე, მან აღნიშნა, რომ სკოლის პროექტი განსაზღვრული იყო სამ სართულზე, ხოლო დამატებითი სართულის დამატება განაპირობა მოსწავლეთა მომართვიანობის გაზრდამ.
საბჭოს თავმჯდომარემ, კითხვით მიმართა, დაწესებულების წარმომადგენლებს, დაეზუსტებინათ, თარიღი თუ როდის შეძლებდა სკოლა შენობის ექსპლუატაციაში მიღების დოკუმენტის წარმოდგენას ცენტრში. დაწესებულების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ აღნიშნულ დოკუმენტს წარადგენდნენ 2023 წლის სასწავლო წლის დასრულებამდე, 15 ივნისამდე.

საბჭოს წევრების ერთობლივი გადაწყვეტილებით, დაწესებულებას განესაზღვრა შენობის ექსპლუატაციაში შესვლის დოკუმენტის ცენტრში წარმოდგენის ვადა, კერძოდ, სკოლას აღნიშნული დოკუმენტი უნდა წარმოედგინა 2023 წლის სასწავლო წლის დასრულებამდე, 2023 წლის 15 ივნისამდე.

1. შპს მზეკაბანი 2-ის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ლიანა კობესაშვილმა და მაკა ტუკვაძემ.

ექსპერტმა, ლიანა კობესაშვილმა, განაცხადა, რომ საავტორიზაციო ვიზიტი დაწესებულებაში განხორციელდა 2023 წლის 23 და 24 იანვარს. ექსპერტმა ისაუბრა სკოლაში გამოვლენილ შეუსაბამობებზე და აღნიშნა, რომ დაწესებულებას უფიქსირდებოდა ხარვეზი პირველ სტანდარტთან დაკავშირებით, კერძოდ, სასკოლო სასწავლო გეგმა არ შეესაბამებოდა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. მისი თქმით, სასკოლო სასწავლო გეგმა ეფუძნებოდა 2011-2016 წლების ეროვნულ სასწავლო გეგმასა და მოქმედი ეროვნულ სასწავლო გეგმის პირველი კარის რეგულაციებს. შესაბამისად, ექსპერტების მხრიდან გაიცა რეკომენდაცია დაწესებულებას სასკოლო სასწავლო გეგმაში არსებული ჩანაწერები შეესაბამებინა მოქმედ ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. ლიანა კობესაშვილმა განაცხადა, რომ დაწესებულებას სკოლის საათობრივ ბადეში შემცირებული ჰქონდა კვირეული საათობრივი დატვირთვა ბუნებისმეტყველებაში (V, VI კლასებში), სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში (ყველა კლასში), მუსიკაში (ყველა კლასში), სპორტში (I-IV კლასებში), ჩვენი საქართველო (VI კლასში), გაზრდილი იყო საათები ინგლისურ ენაში. შესაბამისად, სკოლის საათობრივი ბადე წარმოადგენდა მესამე მოდელის საათობრივ ბადეს, რომელიც დაწესებულებას არ ჰქონდა შეთანხმებული განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში. აქვე, ექსპერტმა დასძინა, რომ დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის წარდგენისას განაცხადა, რომ საათობრივი ბადე შესათანხმებლად გააგზავნა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში.

ექსპერტმა, ლიანა კობესაშვილმა, განაცხადა, რომ სასკოლო სასწავლო გეგმაში იკვეთებოდა გარკვეული შეუსაბამობები კლასისა და საფეხურის დაძლევასთან დაკავშირებით. მისი თქმით, ერთ შემთხვევაში ეს ჩანაწერი სკოლის მიერ განიმარტებოდა შემდეგნაირად, „საბაზო საფეხური დაძლეულად ჩაითვლება, თუ მოსწავლის საფეხურის საერთო ქულა (დამრგვალების შემდეგ) არის 5.5 ან მეტი და დაძლეული აქვს საბაზო საფეხურში შემავალი ყველა კლასი, რაც აძლევს მას საბაზო განათლების ატესტატის აღების ან/და საშუალო საფეხურზე გადასვლის უფლებას“, მეორე შემთხვევაში კი წარმოდგენილი იყო შემდეგნაირად :„საბაზო საფეხური დაძლეულად ჩაითვლება, თუ მოსწავლის საფეხურის საერთო ქულა (დამრგვალების შემდეგ) არის 5.1 ან მეტი და დაძლეული აქვს საბაზო საფეხურში შემავალი ყველა კლასი, რაც აძლევს მას საბაზო განათლების ატესტატის აღების ან/და საშუალო საფეხურზე გადასვლის უფლებას“. ექსპერტის თქმით, მსგავსი შეუსაბამო ჩანაწერები ფიქსირდებოდა დაწყებითი და საშუალო საფეხურის

შემთხვევაშიც. სასკოლო სასწავლო გეგმაში არის ასევე ჩანაწერი „კლასიდან კლასში გადასაყვანად ერთი საგნის დაძლევის მინიმალური ბარიერია 5,5 ქულა. მოსწავლე, რომელიც ვერ გადალახავს აღნიშნულ ბარიერს ენიშნება საშემოდგომო“. აღნიშნული ჩანაწერი კი შეუსაბამო იყო მესამ თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმასთან.

ექსპერტმა, ლია კობესაშვილმა, განაცხადა, რომ დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის დაფიქსირებისას წარმოადგინა პედაგოგიური საბჭოს ოქმი, რომლის თანახმადაც, სკოლამ შეიტანა ცვლილებები სასკოლო სასწავლო გეგმაში და აღნიშნული დოკუმენტი შესაბამისობაში მოიყვანა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მოთხოვნებთან.
ექსპერტ, ლია კობესაშვილის თქმით, დაწესებულება მდებარეობდა ორსართულიან შენობაში. ექსპერტის განცხადებით, საჯარო რეესტრის ამონაწერიდან ირკვეოდა, რომ 15 წლიანი იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე, სკოლა იკავებდა შენობის მთლიანი ფართის შემდეგ ნაწილს: I სართული 315.425კვ.მ-დან 100.157კვ.მ.; II სართული- სრულად-317.246 კვ.მ., სარდაფი-118.28 კვ.მ. ლიანა კობესაშვილის თქმით, სკოლის შენობის აზომვითი ნახაზით დაწესებულებას არ უდასტურდებოდა პირველ სართულზე 100.157 კვ.მ ფართის ფლობა. თუმცა, სასწავლო პროცესი მიმდინარეობდა პირველი სართულის აღნიშნულ ფართზეც. აქედან გამომდინარე, დაწესებულებას, ექსპერტების მხრიდან მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველეყო შენობის აზომვითი ნახაზის მომზადება იჯარის ხელშეკრულებით განსაზღვრული მონაცემების შესაბამისად. აქვე, ექსპერტმა დასძინა, რომ დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის დაფიქსირებისას წარმოადგინა აღნიშნული დოკუმენტი.
ექსპერტმა, ლია კობესაშვილმა, განაცხადა, რომ დაწესებულებაში არსებული ადაპტირებული სველი წერტილი არ იყო სათანადოდ მოწყობილი. მისი თქმით, ეტლით მოსარგებლე პირს გაუჭირდებოდა სველ წერტილში შესვლა და ეტლით გადაადგილება. აქედან გამომდინარე, სკოლას ექსპერტების მხრიდან მიეცა რეკომენდაცია, ადაპტირებული სველი წერტილი მოეწყო იმგვარად, რომ ეტლით მოსარგებლე პირს შეეძლო თავისუფლად გადაადგილება.
ექსპერტმა, ლიანა კობესაშვილმა, განაცხადა, რომ გათბობის ქვაბები დაწესებულებაში დამონტაჟებული იყო სველ წერტილსა და საკლასო ოთახში, რაც საფრთხისშემცველი იყო მოსწავლეებისათვის. მისი თქმით, ვიზიტის პერიოდში გამოთავსუფლდა აღნიშნული საკლასო ოთახი და მოსწავლეები დაწესებულებამ გადაიყვანა საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში ცარიელი კლასის არარსებობის გამო. ექსპერტმა, აღნიშნა, რომ დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას გათბობის ქვაბები დაამონტაჟა სკოლის შენობის გარე კედელზე. აქვე, ლია კობესაშვილმა, განაცხადა, რომ დაწესებულებას უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესი არ ჰქონდა შეთანხმებული განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. მისი თქმით, დაწესებულებამ, ვიზიტის პერიოდში გააგზავნა წერილი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების შესათანხმებლად.
ექსპერტ, ლია კობესაშვილის თქმით, შინაგანაწესით წარმოდგენილი ზოგიერთი საკითხი არ შეესაბამებოდა მოქმედ კანონმდებლობას, კერძოდ, შინაგანაწესის 37-ე მუხლი-,,მოსწავლის პირადი გასინჯვა“, შეიცვალა უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერებით. შინაგანაწესის 41-ე მუხლის მე-3 პუნქტში გაწერილი იყო, რომ ,,საგანმანათლებლო დაწესებულებებში უსაფრთხოების მიზნით გასატარებელი ღონისძიებათა ინსტრუქცია“ რეგულირდებოდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 20 აპრილის N28/ნ ბრძანების შესაბამისად. აქვე, ექსპერტმა აღნიშნა, რომ აღნიშნული სამართლებრივი აქტი ძალადაკარგული იყო და ამჟამად ამ საკითხებს არეგულირებდა საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის №06/ნ - ბრძანებით დამტკიცებული, ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები. ლიანა კობესაშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულების შინაგანაწესის 29-ე მუხლით განსაზღვრული იყო გასაჩივრების ორგანო-სამეურვეო საბჭო, ასეთი სტრუქტურა კი სკოლაში არ ფუნქციონირებდა. აქედან გამომდინარე, დაწესებულებას ექსპერტების მხრიდან მიეცა

რეკომენდაცია, უზრუნველეყო მარეგულირებელი დოკუმენტების მოქმედ კანონმდებლობასთან და სკოლაში არსებულ ფაქტობრივ გარემოებებთან შესაბამისობაში მოყვანა, კერძოდ, დაწესებულებას შინაგანაწესში უნდა გაეთვალისწინებინა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №06/ნ-ით განსაზღვრული სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის დროს განსახორციელებელი ღონისძიებები, მათ შორის უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერების წესები და პირობები. აქვე, ექსპერტმა, დაადასტურა, რომ დაწესებულებამ, გაითვალისწინა აღნიშნული რეკომენდაცია და არგუმენტირებული პოზიციის დაფიქსირებისას წარმოადგინა შესწორებული შინაგანაწესი.

ლიანა კობესაშვილის განცხადებით, ექსპერტების მხრიდან დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, შეემუშავებინა სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, სადაც განსაზღვრული იქნებოდა სტრატეგიული მიზნები, სტრატეგიული გეგმის შემუშავების მეთოდები, აქტივობები, პასუხისმგებელი სტრუქტურა/ პირები, ასევე გაეწერა თუ როგორ განისაზღვრებოდა და განაწილდებოდა ფუნქციები, რა ტიპის საქმიანობა განხორციელდებოდა პროცესის უზრუნველსაყოფად, როგორ მოხდებოდა მიღებული გეგმების შეთანხმება/გაზიარება და ინფორმირება სასკოლო საზოგადოებისთვის. ექსპერტის თქმით, დაწესებულებას, ასევე, უნდა განესაზღვრა შეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმები.

ექსპერტმა, ლიანა კობესაშვილმა, განაცხადა, რომ დაწესებულების საქმისწარმოების დებულების მე-18 მუხლით წარმოდგენილი იყო ბრძანების წარმოების წესი, რომლის თანახმადაც, ბრძანების ტექსტი სამი ნაწილისგან შედგებოდა, მათგან ერთ-ერთი წარმოადგენდა ბრძანების მიღების სამართლებრივ და ფაქტობრივ გარემოებებს, თუმცა, სკოლის მიერ წარმოდგენილ ბრძანებებში აღნიშნული პუნქტი არ იყო გათვალიწინებული. ასევე, არ იძებნებოდა ბრძანების გასაჩივრების შესახებ ჩანაწერიც. აქვე, ექსპერტმა აღნიშნა, რომ საქმისწარმოების დებულება მოიცავდა ინფორმაციას დაწესებულების მიერ გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტაციის აღრიცხვის წესის შესახებ, რომლის თანახმადაც, სკოლა გასცემდა საბაზო და საშუალო განათლების ატესტატს, თუმცა, ექსპერტის თქმით, სკოლაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების ჟურნალები არ არსებობდა. სტანდარტის უკეთ დაკმაყოფილების მიზნით, სკოლას ექსპერტების მხრიდან მიეცა რეკომენდაცია, საქმისწარმოების დებულება შეემუშავებინა მოქმედი კანონმდებლობისა და ფაქტობრივი გარემოებების შესაბამისად, ასევე, უზრუნველყო ბრძანების გამოცემის წესის დაცვა.

ექსპერტ, ლია კობესაშვილის განცხადებით, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიხედვით, სკოლას ჰყავდა დირექტორი, ბიბლიოთეკარი-2, IT მენეჯერი-2, პიარმენეჯერი-1, ბუღალტერი-1 დარაჯი-1 და მასწავლებელი-33. მათ შორის წამყვანი სტატუსის მქონე-1, უფროსი მასწავლებლის სტატუსის მქონე -14 და სტატუსის გარეშე-18. ექსპერტის თქმით, როგორც ინტერვიუთი დადგინდა სკოლას ჰყავდა ერთი ბიბლიოთეკარი, ხოლო IT მენეჯერის ფუნქცია შეთავსებული ჰქონდა მასწავლებელს. ასევე, ბაზაში დაფიქსირებული იყო 2 მასწავლებელი, რომლებსაც შრომითი ურთიერთობა შეწყვეტილი ჰქონდათ სკოლასთან, გარდა ამისა, სკოლაში დასაქმებული იყო საქმისმწარმოებელი და დამლაგებელი, რომლებიც არ იყვნენ ასახული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ბაზაში. ექსპერტის თქმით, სკოლას არ ჰყავდა ექიმი. ექიმის პოზიციაზე დაწესებულებას გამოცხადებული ჰქონდა ვაკანსია. შესაბამისი კადრის აყვანამდე კი ექიმის მოვალეობას დროებით ასრულებდა სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი, რომელსაც ჰქონდა უმაღლესი სამედიცინო განათლება. აღნიშნულ გარემოებასთან დაკავშირებით, ექსპერტების მხრიდან დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახული მონაცემები და სკოლაში რეალურად დასაქმებული პერსონალის შესახებ ინფორმაცია მოეყვანა ერთმანეთთან შესაბამისობაში.

ექსპერტმა, ლიანა კობესაშვილმა, განაცხადა, რომ დაწესებულებას ყველა თანამშრომელთან გაფორმებული ჰქონდა შრომითი ხელშეკრულებები. თუმცა, მისი თქმით, უფროს და წამყვან მასწავლებლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების გარდა, არცერთ

ხელშეკრულებაში არ იყო ასახული სრულად საქართველოს შრომის კოდექსით განსაზღვრული ხელშეკრულების არსებითი პირობები. კერძოდ, არ იყო განსაზღვრული სამუშაოსა და დასვენების დრო, სამუშაო ადგილი, შრომის ანაზღაურება, ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი, ანაზღურებადი შვებულების ხანგრძლივობა და შვებულების მიცემის წესი და სხვა. აქედან გამომდინარე, დაწესებულებას ექსპერტების მხრიდან მიეცა რეკომენდაცია სკოლის პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები მოეყვანა შესაბამისობაში არსებულ კანონმდებლობასთან. აქვე, ექსპერტმა დაადასტურა, რომ დაწესებულებამ გაითვალისწინა აღნიშნული რეკომენდაცია და არგუმენტირებული პოზიციის დაფიქსირებისას წარმოადგინა შესწორებული შრომითი ხელშეკრულებების ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.

საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ, აღნიშნა, რომ დაწესებულებას უფიქსირდებოდა შეუსაბამობები და დარღვეული ჰქონდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სამივე სტანდარტი. მან მიმართა ექსპერტებს კითხვით, დაეზუსტებინათ, რამდენად შეძლებდა დაწესებულება გამხდარიყო განვითარებაზე ორიენტირებული. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, ექსპერტმა, ლიანა კობესაშვილმა განაცხადა, რომ საავტორიზაციო ვიზიტის პერიოდში განხორციელებული ინტერვიუს საფუძველზე, დგინდებოდა, რომ დაწესებულებაში შექმნილი იყო კეთილგანწყობილი გარემო, მოსწავლეებს ეძლეოდათ შესაძლებლობა საჭიროებისამებრ მიეღოთ ინდივიდუალური კონსულტაციები მასწავლებლებისგან, სკოლაში ხორციელდებოდა, ასევე, სადიაგნოსტიკო წერა და წარმოდგენილი იყო თითოეული კათედრის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია სადიაგნოსტიკო წერასთან დაკავშირებით, სადაც გამოკვეთილი იყო თითოეული მოსწავლის საჭიროება. მისი თქმით, მასწავლებლებს, ასევე, წარმოდგენილი ჰქონდათ პროექტები ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მიმართულებით.
საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა კითხვით მიმართა ექსპერტებს დაეზუსტებინათ, თუ რას გულისხმობდა და როგორ განიმარტებოდა დაწესებულების სასკოლო სასწავლო გეგმაში არსებული ჩანაწერი ოფიციალური სტატუსის მქონე ნიშნების შესახებ. ექსპერტმა, ლიანა კობესაშვილმა, განაცხადა, რომ აღნიშნული ჩანაწერი შეუსაბამო იყო სკოლაში არსებულ ფაქტობრივ გარემოებებთან. ექსპერტის თქმით, აღნიშნული ჩანაწერი სკოლას აღებული ჰქონდა მეორე თაობის სასწავლო გეგმიდან. შესაბამისად, ექსპერტების მხრიდან გაიცა რეკომენდაცია, რომ დაწესებულებას წარმოდგენილი დოკუმენტაცია მოეყვანა შესაბამისობაში მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმასთან.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს და აღნიშნა, რომ სკოლას უფიქსირდებოდა არაერთი შეუსაბამობა და დარღვეული ჰქონდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სამივე სტანდარტი. მან კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეზუსტებინათ, თუ რატომ ვერ უზრუნველყო სკოლამ სტანდარტებთან შესაბამის მოთხოვნებთან შესაბამისობა. დასმული შეკითხვების საპასუხოდ, სკოლის დირექტორმა, ბელა გოცირიძემ, განმარტა, რომ დაწესებულების მხრიდან ნაჩქარევად იყო წარმოდგენილი საავტორიზაციო განაცხადი. მისი თქმით, საავტორიზაციო განაცხადზე მუშაობა დაემთხვა ახალი სასწავლო წლის დაწყებას. დაწესებულების იურისტმა განაცხადა, რომ სკოლა გამოასწორებდა არსებულ ხარვეზებს და გაითვალისწინებდა ექსპერტთა რეკომენდაციებს, ასევე, საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოიყვანდა სკოლის დოკუმენტაციას. მისი თქმით, დაწესებულება საქმის სრულყოფილად შესწავლის მიზნით, განიხილავდა ტრენინგების ჩატარებას საქმისწარმოების სამსახურის თანამშრომელთან. აქვე, სკოლის იურისტმა დასძინა, რომ დაწესებულებამ ავტორიზაციის განაცხადის წარდგენიდან საავტორიზაციო ვიზიტის დღემდე, მწირი დროის არსებობის გამო, ვერ შეძლო დოკუმენტაციის სათანადოდ მოწესრიგება.

საბჭოს სხდომაზე 16:00 საათზე გამოცხადდა შესვენება.
საბჭოს სხდომა განახლდა 16:18 საათზე.

საბჭოს წევრმა, ქეთევან ნატროშვილმა, კითხვით მიმართა ექსპერტებს, დაეზუსტებინათ, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების რომელი მოთხოვნის გათვალისწინებას ვერ შეძლებდა დაწესებულება. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, ექსპერტმა, ლიანა კობესაშვილმა, განაცხადა, რომ დაწესებულებას უნდა მიეღო შესაბამისი ზომები სკოლის სივრცეში არსებული გამათბობლის საქვაბეებთან დაკავშირებით. ასევე, დაწესებულებას მოსაწესრიგებელი ჰქონდა ადაპტირებული სველი წერტილები. აქვე, ლიანა კობესაშვილმა დასძინა, რომ სკოლამ მის მიერ წარმოებული დოკუმენტაცია მოიყვანა შესაბამისობაში დაწესებულებაში მიმდინარე პროცესებთან. სკოლის წარმომადგენელმა, ბელა გოცირიძემ, განაცხადა, რომ სკოლაში არსებული საქვაბეები შეიფუთა და უსაფრთხოების მიზნით, დამონტაჟდა დაწესებულების გარე სივრცეში.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა კითხვები ექსპერტებთან ან საბჭოს წევრებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 100 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს მზეკაბანი 2-ის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 100 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7
წინააღმდეგი - 5

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, ასევე, საბჭოს წევრებმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა, ნატო გაბოშვილმა, ზვიად გოგუაძემ და მორის დანდურიშვილმა მხარი არ დაუჭირეს შპს მზეკაბანი 2-ისთვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, განმარტა, რომ ის გადაწყვეტილების მიღებისას დაეყრდნო ექსპერტთა დასკვნას, რომლის მიხედვითაც, დაწესებულებას დარღვეული ჰქონდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სამივე სტანდარტი. ასევე, დავით მალაზონიამ აღნიშნა, რომ მან დაწესებულებისგან ვერ მოისმინა დამაჯერებელი არგუმენტები, რომლებიც გააბათილებდა დაწესებულებაში არსებულ შეუსაბამობებს და მას დაანახვებდა დაწესებულების პერსპექტივასა და მზაობას სკოლაში არსებული მდგომარეობის გამოსწორებასთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ, განაცხადა, რომ ის გადაწყვეტილების მიღებისას დაეყრდნო ექსპერტთა დასკვნას. მისი თქმით, დაწესებულება ვერ აკმაყოფილებდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნებს.

საბჭოს წევრმა, ნატო გაბოშვილმა, განაცხადა, რომ საბჭოს სხდომაზე წარმოდგენილი სკოლის არგუმენტირებული პოზიცია მისთვის არადამაჯერებელი იყო. შესაბამისად, მან ვერ მოისმინა დამაჯერებელი არგუმენტები, რომლებიც გადააწყვეტინებდა დაწესებულებისათვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს.

საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა, განაცხადა, რომ დაწესებულებას ექსპერტთა მითითებისა და საავტორიზაციო ვიზიტის გარეშე შეეძლო რიგი პრობლემური საკითხების დანახვა და მოგვარება, თუმცა დაწესებულებას არ გასჩენია ამის სურვილი. აქედან გამომდინარე, მორის დანდურიშვილის თქმით, მოცემულ ეტაპზე, ის ვერ ხედავდა სკოლის მხრიდან დასახელებული ხარვეზების გამოსწორების შესაძლებლობას.

საბჭოს წევრმა, პეტრე ბაბილუამ, განაცხადა, რომ მისი შეფასებით, დაწესებულებას ჰქონდა მზაობა. ასევე, ის შეძლებდა ექსპერტთა რეკომენდაციების გათვალისწინებასა და ხარვეზების აღმოფხვრას. მისი თქმით, დაწესებულებას მუდმივად უნდა ეზრუნა სტანდარტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე.

საბჭოს წევრმა, თამარ მამსიკაშვილმა, განაცხადა, რომ მან მხარი დაუჭირა სკოლისათვის ავტორიზაციის მინიჭებას, რადგან, სკოლა მზად იყო გამოესწორებინა ხარვეზები, ასევე, ის გადაწყვეტილების მიღებისას დაეყრდნო ექსპერტთა განმარტებას, რომლის მიხედვითაც, დაწესებულება აქტიურად თანამშრომლობდა მათთან და ცდილობდა ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაციების გათვალისწინებას. თამარ მამსიკაშვილის თქმით, დაწესებულება გაივლიდა მონიტორინგს და შეფასდებოდა მოქმედი ოთხი სტანდარტის მიხედვით.

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტისა და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, შპს მზეკაბანი 2-ს (ს/კ: 416306143) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 100 - ით. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვრა ქართული ენა.

საბჭოს გადაწყვეტილებით, დაწესებულებაში უნდა განხორციელებულიყო მონიტორინგის შეფასება 2024 წლის სექტემბრის თვის შემდეგ, მოქმედი ოთხი სტანდარტის მიხედვით.

2. შპს აპოდიქსის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა

დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ქეთევან ბოტკოველმა და მაკა ნადარეიშვილმა.

ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა, განაცხადა, რომ საავტორიზაციო ვიზიტი დაწესებულებაში განხორციელდა 2023 წლის 13, 14 და 15 თებერვალს. მისი თქმით, სკოლა მდებარეობდა ქალაქ სენაკში, ჭავჭავაძის ქ. N55-ში. სკოლის მეიჯარე იყო ა(ა)იპ-„სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანებაზე“ უზუფრუქტით გადაცემული მე-2-ე ბაგა-ბაღი, რომელთანაც გაფორმებული იყო შესაბამისი ხელშეკრულებები. ხელშეკრულებების თანახმად, დაწესებულება ფლობდა 2 შენობა-ნაგებობასა (887კვ.მ.) და 230 კვ.მ. არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართს 2022 წლის 29 დეკემბრიდან 2029 წლის 01 იანვრამდე..

ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა, ისაუბრა სკოლის მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ სკოლის მფლობელობაში არსებულ ფართში განთავსებული იყო 12 საკლასო ოთახი, მათ შორის, პირველ სართულზე 3, ხოლო მეორე სართულზე 9 საკლასო ოთახი. ექსპერტმა განაცხადა, რომ სკოლის პირველ სართულზე საკლასო ოთახებთან ერთად, განთავსებული იყო სამედიცინო კაბინეტი, ხოლო მეორე სართულზე დირექციის ოთახი. საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, ისტ-ის კაბინეტი და სპორტული დარბაზი განთავსებული იყო სკოლის შენობის უკანა ეზოში მდგარ ცალკე შენობაში. ქეთევან ბოტკოველმა აღნიშნა, რომ საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში, დამონტაჟებული იყო ონკანი, გამწოვი, ასევე, სასწავლო პროცესისთვის სათანადო ლაბორატორიული ინვენტარი მოთავსებული იყო თაროებზე და რეაქტივები დაცული იყო საკეტიან კარადაში. ოთახში გამოკრული იყო ლაბორატორიით სარგებლობის წესი. აქვე, ექსპერტმა დასძინა, რომ საკლასო ოთახების რაოდენობა და მათში განთავსებული (192 + დასაწყობებული 50) მერხებისა და სკამების რაოდენობა სრულად უზრუნველყოფდნენ მოსწავლეთა მოთხოვნილი რაოდენობის საჭიროებების დაკმაყოფილებას.

ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა, აღნიშნა, რომ კომპიუტერული ლაბორატორია და ბიბლიოთეკა ერთ სივრცეში იყო მოთავსებული, თუმცა, ბიბლიოთეკას ჰქონდა ცალკე სამკითხველო მოწყობილი. ექსპერტის თქმით, ბიბლიოთეკაში დაცული იყო 1830 წიგნადი ერთეული, მათ შორის, ყველა საფეხურისა და საგნის გრიფმინიჭებული სახელმძღვანელო. წიგნადი ფონდი დამუშავებული იყო საბიბლიოთეკო წესით. ისტ-ის კაბინეტში ფუნქციონირებდა 10 კომპიუტერი. ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა, განაცხადა, რომ სკოლას ჰყავდა ექთანი და არ ჰყავდა ექიმი, შესაბამისად, მას ექიმის პოზიციაზე გამოცხადებული ჰქონდა ვაკანსია. სამედიცინო კაბინეტში განთავსებული იყო მაგიდა, სამედიცინო ტახტი, შირმა, დამონტაჟებული იყო ონკანი, თუმცა, სამედიცინო კაბინეტი არ იყო სრულყოფილად აღჭურვილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი N41/ნ/01-23/ნ ბრძანების დანართი №2-ის შესაბამისად. კერძოდ, სამედიცინო კაბინეტში არ იყო განთავსებული მაცივარი, საათი, საკაცე და ა.შ. აქედან გამომდინარე, დაწესებულებას ექსპერტების მხრიდან მიეცა რეკომენდაცია - უზრუნველეყო სამედიცინო კაბინეტის სრული აღჭურვა შესაბამისი რესურსით.

ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა, განაცხადა, რომ სკოლას ჰქონდა სპორტული დარბაზი, (80 კვ.მ.), რომელიც იანვრის ბოლოს სამეგრელოში განვითარებული სტიქიური მოვლენების დროს დაზიანდა და ამ ეტაპზე აღნიშნულ დარბაზში სპორტული გაკვეთილები არ ტარდებოდა. ექსპერტმა აღინიშნა, რომ სკოლამ წარმოადგინა ა(ა)იპ-სენაკის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანებასთან გააფორმა ხელშეკრულება, რომლის საგანს წარმოადგენდა მომსახურე სუბიექტის მიერ, შპს აპოდიქსის სპორტული დარბაზით უზრუნველყოფა, ყოველდღიურად 9 საათიდან 12 საათის ჩათვლით. მოსწავლეთა უსაფრთხო გადაადგილების

მიზნით, სკოლას ხელშეკრულება დადებული ჰქონდა მძღოლთან, რომელსაც უნდა უზრუნველყო მოსწავლეთა ტრანსპორტირება მის კუთვნილებაში არსებული სატრანსპორტო საშუალებით

ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა, განაცხადა, რომ საკლასო ოთახებში დამონტაჟებული იყო შეშის ღუმელები და საჭიროებისამებრ გამოიყენებოდა ელექტრო გამათბობლებიც. გოგონებისთვისა და ვაჟებისთვის, ასევე, სსსმ მოსწავლეებისთვის განკუთვნილი სველი წერტილები განთავსებული იყო სკოლის ეზოში. სველ წერტილებთან დაკავშირებით, ექსპერტების მხრიდან გაიცა რეკომენდაცია, სკოლას უზრუნველყო ადაპტირებული სველი წერტილები შესაბამისი ფართით, რადგანაც ეტლით მოსარგებლე პირებს არსებულ სივრცეში შეძლებოდათ გადააადგილება.

ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა, განაცხადა, რომ სკოლას შემუშავებული ჰქონდა უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დოკუმენტი, რომელიც საქართველოს განათლების მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის 06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების“ პირველი მუხლის მე - 4 პუნქტის შესაბამისად იყო შემუშავებული. ექსპერტის თქმით, არსებულ დოკუმენტთან მიმართებით, სკოლას სამინისტროს მხრიდან მიეცა რეკომენდაციები, რისი გამოსწორების შემდგომ, ახალი დოკუმენტი კვლავ გადაეგზავნა რესურსცენტრს შუამდგომლობისთვის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შესათანხმებლად, თუმცა, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან პასუხი ამ ეტაპამდე სკოლას არ ჰქონდა მიღებული.

ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა, განაცხადა, რომ სკოლაში დამონტაჟებული იყო უსაფრთხოების 8 კამერა, მათგან 4 უზრუნველყოფდა გარე პერიმეტრის კონტროლს. კამერების პარამეტრები შეესაბამებოდა კანონით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ექსპერტის თქმით, კამერების კონტროლს ახორციელებდა სკოლის დირექტორის მოადგილე. სკოლის შენობაში განთავსებული იყო ცეცხლმაქრები, სკოლის შესასვლელში კი თვალსაჩინო ადგილზე გამოკრული იყო საგანგებო სიტუაციების სამსახურის ნომერი 112. ასევე, სკოლას ჰქონდა სათადარიგო გასასვლელი რკინის გარე კიბის სახით. ექსპერტ, ქეთევან ბოტკოველის თქმით, სკოლის შენობის ვიზუალური დათვალიერების შედეგად, გამოვლინდა, რომ სკოლის ორივე სართულსა და შენობა N2-ში გამოკრული საევაკუაციო გეგმები არ შეესაბამებოდა საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას, კერძოდ, საქართველოს მთავრობის დადგენილებას №370 (დანართი N1) - სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და პირობების შესახებ. ექსპერტთა რეკომენდაციით, ვიზიტის პერიოდში, სკოლამ თხოვნით მიმართა შესაბამის ორგანოს ახალი საევაკუაციო გეგმების შემუშავებასთან დაკავშირებით, რის შედეგადაც, დაწესებულებას იმავე დღეს გადმოეგზავნა ახალი საევაკუაციო გეგმების ელექტრონული ვერსია.

ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა განაცხადა, რომ სკოლას შემუშავებული ჰქონდა წესდება და შინაგანაწესი. მისი თქმით, დაწესებულების წესდებით განსაზღვრული იყო ორგანიზაციის სტატუსი და მიზნები. შინაგანაწესი კი შეთანხმებული იყო პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე და დამტკიცებული იყო დირექტორის მიერ. დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდა, ასევე, ბიბლიოთეკის დებულება, საქმისწარმოების წესი, პედაგოგიური საბჭოს დებულება, კათედრების დებულება, დამრიგებლის მუშაობის დებულება და სხვა. ექსპერტის თქმით, აღნიშნული დოკუმენტები ცნობილი იყო სასკოლო საზოგადოებისათვის, რაც დადასტურდებოდა ექსპერტების მიერ ჩატარებული გასაუბრებებით.

ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა, განაცხადა, რომ სკოლას დამტკიცებული ჰქონდა 2022-2029 სასწავლო წლების სტრატეგიული გეგმა და 2022-2023 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა. მისი თქმით, სკოლამ სტრატეგიული გეგმის შედგენისას იხელმძღვანელა სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიით, გასული სასწავლო წლის SWOT ანალიზით და გამოყო 5 ძირითადი სტრატეგიული პრიორიტეტი. ასევე, ქეთევან ბოტკოველმა, განმარტა, რომ

სასურველი იყო დაწესებულებას სტრატეგიული განვითარების გეგმა ჩაეშალა ამოცანებად, მიზნის მიღწევის ინდიკატორებად და დაეკონკრეტებინა პასუხისმგებელი პირები, მათი უფლება- მოვალეობების ფარგლებში.
ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა, ისაუბრა დაწესებულების ადამიანური რესურსის შესახებ და განმარტა, რომ სკოლაში დასაქმებული იყო 29 თანამშრომელი, რომელთაგან 23 იყო მასწავლებელი. მისი თქმით, პედაგოგები შერჩეული იყვნენ კანონმდებლობის შესაბამისად და მათთან გაფორმებული იყო შრომის კოდექსის მოთხოვნების შესაბამისი ხელშეკრულება. ასევე, სკოლის ყველა თანამშრომელთან გაფორმებული იყო შესაბამისი შრომითი ხელშეკრულება. ქეთევან ბოტკოველის თქმით, თანამშრომელთა ნაწილს არ ჰქონდა წარმოდგენილი ნასამართლეობისა და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ ინფორმაციის დამადასტურებელი ცნობები, რასთან დაკავშირებითაც სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომლის მიხედვითაც, ყველა თანამშრომელს უნდა წარმოედგინა აღნიშნული ცნობები.
ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა, განაცხადა, რომ სკოლაში დასაქმებული იყო 15 უფროსი და 7 უსტატუსო მასწავლებელი. მისი თქმით, დაწესებულებაში მასწავლებელთა შერჩევის წესი რეგულირდებოდა სკოლის შინაგანაწესის - მეექვსე მუხლის თანამშრომელთა მიღების წესის მიხედვით, თუმცა, აღნიშნულ წესში არ იყო გათვალისწინებული საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის N174/ნ ბრძანებით განსაზღვრული - მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის, მუხლი 4-ით (კონკურსის გამოცხადება) და მუხლი 5-ით (კომისიის შექმნის წესი) განსაზღვრული მოთხოვნები, რასთან დაკავშირებითაც, სკოლას ექსპერტთა მხრიდან მიეცა რეკომენდაცია აღნიშნულ დოკუმენტში აესახა ბრძანებით განსაზღვრული მოთხოვნები. ექსპერტის თქმით, სკოლას შემუშავებული ჰქონდა ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების მექანიზმები. სკოლაში დასაქმებულ პირთა შეფასებისათვის და მათი შემდგომი მოტივაციისათვის დანერგილი იყო გამჭვირვალე და ობიექტური შეფასების სისტემა: (მონიტორინგი, კათედრის წევრების ურთიერთდასწრება, შეფასების სისტემების ერთობლივად შემუშავება, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის მიერ გაკვეთილებზე დასწრება), რომელიც ხელს უწყობდა დასაქმებულთა შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენასა და მათ პროფესიულ განვითარებას. ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მექანიზმის დოკუმენტში სკოლის მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად, განსაზღვრული იყო შემდეგი საკითხები: დასაქმებულთა მუდმივი განვითარება მაღალკვალიფიციური და შესაბამისი კადრების შენარჩუნება/მომზადება, სწავლება/სწავლის ხარისხის ამაღლების მიზნით პედაგოგთა სამუშაო შეხვედრების ორგანიზება პროგრამების შემუშავება/რედაქტირებისათვის, კათედრებს შორის გამოცდილების გაზიარება და სამუშაო შეხვედრების მოწყობა.
ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა, განაცხადა, რომ სასკოლო სასწავლო გეგმა სრულად შესაბამებოდა ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. მისი თქმით, სკოლაში სასწავლო პროცესი მიმდინარეობდა ქართულ ენაზე, სამივე საფეხურზე. სკოლა აქტიურად მუშაობდა სხვადასხვა პროექტზე, როგორც სკოლათაშორის პროექტებზე, ასევე გასვლით ღონისძიებებზე. ქეთევან ბოტკოველის თქმით, ექსპერტთა მიერ დოკუმენტაციის შესწავლისას და მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ღონისძიებების/პროექტების ანგარიშის ანალიზისას, მასწავლებლები შემოიფარგლებოდნენ მხოლოდ ღონისძიების დასახელებითა და ზოგადი აღწერით (მოსწავლეთა აქტივობები), რასთან დაკავშირებითაც სკოლას ექსპერტთა მხრიდან მიეცა რეკომენდაცია თითოეული ღონისძიების აღწერისას გამოეკვეთა მიზანი, კონკრეტული აქტივობა/მიმდინარეობა და შედეგი.

ქეთევან ბოტკოველმა განაცხადა, რომ ექსპერტთა მიერ, ასევე, შემოწმდა კომპლექსური დავალებები და გამოიკვეთა, რომ კომპლექსური დავალებების ანალიზი (შეფასება და მოსწავლისთვის დაბრუნებული უკუკავშირი) იყო ზოგადი ხასიათის და შემოიფარგლებოდა

ზოგადი კომენტარებით. აღნიშნულთან მიმართებით სკოლას ექსპერტების მხრიდან მიეცა რეკომენდაცია დაეცვა მოსწავლისთვის დასაბრუნებელი განმავითარებელი შეფასების სტრუქტურა და გამოეკვეთა შემდეგი საკითხები: კონკრეტულად რას გაართვა თავი მოსწავლემ კარგად, რა ჰქონდა გასაუმჯობესებელი და როგორ, რა საშუალებით გაეუმჯობესებინა სუსტი მხარე.
ექსპერტ, ქეთევან ბოტკოველის, განმარტებით, მოსწავლეთა შეფასების სისტემა სრულად შეესაბამებოდა ეროვნული სასაწავლო სისტემით განსაზღვრული შეფასების კრიტერიუმებს. ასევე, დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდა სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და გაუმჯობესების მექანიზმის ამსახველი დოკუმენტი, რომელიც წარმოდგენილი იყო დირექტორის მოადგილის 2022-2023 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმით. გეგმაში გაწერილი იყო შემდეგი აქტივობები: სკოლის საჭიროების შესწავლა, ეროვნული სასწავლო გეგმის სიახლეებისა და მისაღწევი შედეგების გაზიარება, მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის ხელშეწყობა, ეროვნული სასწავლო გეგმის პრიორიტეტული თემის მიხედვით სასკოლო პროექტის განხორციელება, საგნობრივი კათედრების ფუნქციონირების ხელშეწყობა, საგაკვეთილო პროცესზე დასწრებისა და შეფასების ფორმების შემუშავება, სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესება, მოსწავლეთა ინტერესებისა და საჭიროებებზე სასწავლო პროცესის მორგება, მოსწავლეთა სწავლის შედეგების გაუმჯობესება, მასწავლებელთა პროფესიული საჭიროებების კვლევა, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, გაკვეთილების დაგეგმვა, მშობელთა კმაყოფილების კვლევა, მომავალი სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტის შემუშავება. ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა, აღნიშნა, რომ სკოლის ადმინისტრაცია შემუშავებული კითხვარის მეშვეობით ატარებდა მოსწავლეთა, მასწავლებელთა და მშობელთა გამოკითხვას, აანალიზებდა მიღებულ მონაცემებს და არსებულ შედეგებს ითვალისწინებდა შემდგომი წლის დაგეგმვისას. აქვე, ქეთევან ბოტკოველმა, დასძინა, რომ ექსპერტთა მიერ გაიცა რეკომენდაცია, დაწესებულებას აღნიშნული კითხვარები გაეხადა უფრო ინფორმატიული, რაც, თავის მხრივ, სკოლას დაეხმარებოდა მიეღო მეტი ინფორმაცია სასწავლო პროცესის შესახებ.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 200 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს აპოდიქსის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 200 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“

ქვეპუნქტისა და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, შპს აპოდიქსს (ს/კ: 239869415) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 200 - ით.

3. ა(ა)იპ-საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, მაკა ტუკვაძემ და თეა გაბელაიამ.
ექსპერტ, მაკა ტუკვაძის განცხადებით, საავტორიზაციო ვიზიტი დაწესებულებაში განხორციელდა 2023 წლის 31 იანვარს, 1 და 2 თებერვალს. მისი თქმით, სკოლა დაფუძნებული იყო საქართველოს საპატრიარქოს მიერ და ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში ფუნქციონირებას გააგრძელებდა დაბა ხარაგაულში, რომანოზ დეკანოსიძის ქუჩა N4-ში, სადაც ამჟამად ფუნქციონირებდა შპს ,,საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზია. ექსპერტმა, მაკა ტუკვაძემ, განაცხადა, რომ სკოლის შენობა იყო ორსართულიანი, მოწესრიგებული და ახლად გარემონტებული. მისი თქმით, საქართველოს საპატრიარქოს ავტოკეფალურ ეკლესისა და ა(ა)იპ-,,საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზია“-ს შორის გაფორმებული თხოვების წინარე ხელშეკრულებით, შპს ,,საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზიის“ საკუთრებაში არსებული და სრულიად საქართველოს საპატრიარქოს ავტოკეფალურ ეკლესიისთვის უსასყიდლო უზურფრუქტის ფორმით გადაცემული უძრავი ქონების განათხოვრება მოხდებოდა ა(ა)იპ-,,საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზიის ავტორიზაციის მოპოვების შემდეგ. შესაბამისად, გაფორმებული თხოვების ხელშეკრულება დარეგისტრირდებოდა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, უძრავი ქონების მესაკუთრის (საქართველოს საპატრიარქო) თანხმობით. ექსპერტის განმარტებით, წინარე შეთანხმების საფუძველზე, მატერიალური ქონების ინტელექტუალური საკუთრების გადაცემა მოხდებოდა გიმნაზიის მიერ ავტორიზაციის მოპოვების შემდეგ 3 სამუშაო დღეში. მაკა ტუკვაძის თქმით, მიწის ნაკვეთის ფართობი იყო 5933მ, ხოლო შენობის საერთო ფართი- 1106,022მ².
ექსპერტმა, მაკა ტუკვაძემ, განაცხადა, რომ გიმნაზიის შენობაში ფუნქციონირებდა 12 საკლასო ოთახი. მე-7-ე კლასის საკლასო ოთახში განთავსებული იყო ქიმიის ლაბორატორია, მე-8-ე კლასის საკლასო ოთახში- ბიოლოგიის ლაბორატორია, ხოლო მე-9-ე კლასის საკლასო ოთახში-ფიზიკის ლაბორატორია. ექვს საკლასო ოთახში განთავსებული იყო მოძრავი ჭკვიანი დაფები. გარდა აღნიშნული ინვენტარისა, საკლასო ოთახებში განთავსებული იყო სხვადასხვა სახის სასწავლო რესურსი, როგორებიც იყო რუკები, გლობუსი, მოსწავლეთა ნამუშევრები და

პრეზენტაციები. ექსპერტის განმარტებით, დაწესებულების ვიზუალური დათვალიერებითა და გიმნაზიის მიერ წარმოდგენილი „მატერიალური ქონებისა და ინტელექტუალური საკუთრების გადაცემის წინარე შეთანხმების“ დოკუმენტით განსაზღვრული „მატერიალური ქონების“ შესწავლის თანახმად, გიმნაზიის მფლობელობაში იყო 265 მერხი და სკამი, 26 კომპიუტერი, 7 ჭკვიანი დაფა, 13 სასკოლო დაფა, 3 პროექტორი და 3 მაგნიტური დაფა. ექსპერტმა, მაკა ტუკვაძემ, აღნიშნა, რომ დაწესებულების ეზოში მოწყობილი იყო სკოლის ამფითეატრი და ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედანი. აგრეთვე, გიმნაზიას ჰქონდა სპორტული ინვენტარით აღჭურვილი დახურული სპორტული დარბაზი, რომელიც განთავსებული იყო შენობის პირველ სართულზე. მისივე თქმით, დაწესებულების მფლობელობაში იყო ტრენაჟორები და ჩოგბურთის მაგიდა.

ექსპერტ, მაკა ტუკვაძის, განცხადებით, სკოლაში ფუნქციონირებდა ქიმიის, ფიზიკისა და ბიოლოგიის ლაბორატორიები. მისივე თქმით, სამივე ლაბორატორიას ჰქონდა დამხმარე სათავსო ოთახები, სადაც დამონტაჟებული იყო სველი წერტილები, ხოლო კარადებში განთავსებული იყო შესაბამისი ლაბორატორიული აღჭურვილობა. აქვე, ექსპერტმა დასძინა, რომ ქიმიის ლაბორატორიაში დამონტაჟებული იყო გამწოვი კარადა, ფიზიკისა და ბიოლოგიის კაბინეტები კი აღჭურვილი იყო მოძრავი, ჭკვიანი დაფებით.

ექსპერტ, მაკა ტუკვაძის განმარტებით, ყველა საკლასო ოთახი უზრუნველყოფილი იყო ბუნებრივი განათებით,

შენობის ელექტროენერგიით მომარაგება და გათბობა კი ხდებოდა მზის ენერგიის გამოყენებით, რომელსაც უზრუნველყოფდა გიმნაზიის შენობის სახურავზე დამონტაჟებული ფოტო ელექტრონული მზის პანელები. სკოლას, ასევე, ჰქონდა ალტერნატიული დენის წყარო-გენერატორი. გათბობის ცენტრალური სისტემები განთავსებული იყო ცალკე ნაგებობაში, რომელიც იკეტებოდა და დაცული იყო უსაფრთხოების ნორმები. ექსპერტმა აღნიშნა, რომ შენობაში ამჟამად დამონტაჟებული იყო გაზის გამათბობლები.

ექსპერტმა, მაკა ტუკვაძემ, განაცხადა, რომ ბიბლიოთეკა განთავსებული იყო შენობის პირველ სართულზე. ბიბლიოთეკაში დაცული იყო 4381 წიგნადი ერთეული, მათ შორის, ყველა საფეხურისა და საგნის გრიფირებული სახელმძღვანელო. ბიბლიოთეკა აღჭურვილი იყო 3 ინტერნეტში ჩართული კომპიუტერით, მათ შორის, ერთი იყო ბიბლიოთეკარის სამუშაო კომპიუტერი, ხოლო ორი მათგანი განკუთვნილი იყო სასწავლო მიზნებისთვის. მაკა ტუკვაძის განმარტებით, გიმნაზიის აღმასრულებელი დირექტორის განცხადებით და, ასევე, დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმის მიხედვით, დაგეგმილი იყო გიმნაზიის შენობის გაფართოება და დიდი ბიბლიოთეკის მოწყობა სამკითხველო დარბაზით, ასევე, დაგეგმილი იყო დახურული სპორტული დარბაზისა და დიდი ლაბორატორიის მოწყობა, სადაც განთავსდებოდა ზემოაღნიშნული სამივე ლაბორატორია.

ექსპერტმა, მაკა ტუკვაძემ აღნიშნა, რომ გიმნაზიის ეზო და შენობის ერთ-ერთი შესასვლელი იყო ადაპტირებული. პირველ სართულზე ფუნქციონირებდა რესურს ოთახი და სველი წერტილი შშმ პირებისთვის. ასევე, დაწესებულებას დამზადებული ჰქონდა მოძრავი პანდუსები კიბეებისათვის.

ექსპერტ, მაკა ტუკვაძის განცხადებით, დაწესებულება ფლობდა 26 კომპიუტერს, 7 ჭკვიან დაფას, 3 პროექტორსა და 5 პრინტერს. კომპიუტერულ ლაბორატორიაში განთავსებული იყო 15 კომპიუტერი და 1 პრინტერი.

ექსპერტმა, მაკა ტუკვაძემ, განაცხადა, რომ სკოლა, აგრეთვე, ფლობდა სახანძრო უსაფრთხოების ყველანაირ ინვენტარს. დაწესებულების შენობის ყველა სართულზე განთავსებული იყო ცეცხლმაქრები, გამოკრული იყო საევაკუაციო გეგმები, შენობის საევაკუაციო გზებზე მოწყობილი იყო „საევაკუაციო გზის“ მიმართულების მაჩვენებელი მანათობელი ნიშნები. ასევე, დერეფნებში თვალსაჩინო ადგილზე, ინფორმირებულობის უზრუნველყოფის მიზნით, გამოკრული იყო აუცილებელი სატელეფონო ნომრები. ექსპერტის განმარტებით, გიმნაზიის

შენობა აღჭურვილი იყო 5 ცეცხლმაქრით, ასევე, შენობაში განთავსებული იყო სახანძრო სტენდი. გარდა ამისა, შენობას გააჩნდა ერთი მთავარი შესასვლელი და ორი სათადარიგო გასასვლელი.
ექსპერტის განმარტებით, დაწესებულებაში ფუნქციონირებდა სამედიცინო კაბინეტი, რომელიც აღჭურვილი იყო შესაბამისი ინვენტარით. ასევე, დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდა სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები.
მაკა ტუკვაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდა წესრიგის დაცვის მექანიზმები. მას შემუშავებული და სამინისტროსთან შეთანხმებული ჰქონდა „უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის წესები“. დაწესებულებაში წესრიგის დაცვის მიზნით, სკოლას გამოყოფილი ჰყავდა დაცვაზე უფლებამოსილი პირი, ასევე, ფლობდა უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერებისთვის ხელის დეტექტორს. მაკა ტუკვაძემ აღნიშნა, რომ გიმნაზიის სრული პერიმეტრი შემოღობილი იყო და კონტროლდებოდა 14 ვიდეოკამერით, მათგან, 8 კამერით ხდებოდა გიმნაზიის გარე პერიმეტრის სრული დათვალიერება, ხოლო შიდა პერიმეტრში განთავსებული იყო 6 ვიდეოთვალი, რომელიც აკონტროლებდა დერეფნებსა და კიბის უჯრედებს.
ექსპერტის განცხადებით, გიმნაზიას შემუშავებული ჰქონდა სკოლის განვითარების ექვსწლიანი და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები. დაწესებულების ექვსწლიან გეგმებში გაწერილი იყო მატერიალური რესურსის უზრუნველყოფის შესაბამისი ამოცანები. ექსპერტის განმარტებით, გიმნაზიის შინაგანაწესი აწესრიგებდა სკოლაში საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების პირობებს, აგრეთვე, განსაზღვრავდა მასწავლებელთა, მოსწავლეთა, მშობელთა და დასაქმებულთა უფლება-მოვალეობებს, შრომის დისციპლინის საკითხებს, თანამშრომელთა მიღება-გათავისუფლების წესებსა და პირობებს, წახალისების, ადმინისტრაციული/დისციპლინური გადაცდომების საკითხებსა და სხვა საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების წესებს. მაკა ტუკვაძის განმარტებით, დაწესებულების დებულება ადგენდა გიმნაზიაში საგანმანათლებლო საქმიანობის განმახორციელებელთა/დასაქმებულთა ფუნქციებსა და უფლება-მოვალეობებს. გიმნაზიას შემუშავებული ჰქონდა სტრუქტურული ერთეულების მუშაობის მარეგულირებელი დოკუმენტები: პედსაბჭოსა და კათედრის დებულებები, საქმისწარმოების წესი და ბიბლიოთეკის დებულება. აღნიშნული დებულებები ხელს უწყობდა სასკოლო საქმიანობის სწორად წარმართვას.
ექსპერტ, მაკა ტუკვაძის განცხადებით, სკოლა იყენებდა პირველი მოდელის საათობრივ ბადეს. დაწესებულება მოსწავლეებს დამატებითი მომსახურების სახით სთავაზობდა საღმრთო რჯულსა და ქიმია. ექსპერტის თქმით, დაწესებულებას განსაზღვრული ჰქონდა საშინაო, საკლასო და შემაჯამებელი დავალებაში 10 ქულაზე მეტი შეფასების რუბრიკის გამოყენების შემთხვევაში, მიღებული ქულის 10 ქულიან სისტემაზე გადაყვანის პრინციპი. შემაჯამებელი დავალების კომპონენტში სავალდებულო იყო კომპლექსური, კონტექსტის მქონე დავალებების გამოყენება. ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში, სასკოლო სასწავლო გეგმაში გასწორდა რამდენიმე უზუსტობა, კერძოდ, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, გიმნაზიამ საერთო წლიური ქულა ამოიღო სასკოლო სასწავლო გეგმიდან და განსაზღვრა სპორტის შემაჯამებელი დავალებების რაოდენობა. ასევე, ექსპერტის თქმით, მე-12-ე კლასში არჩევითი საგნები არ შეესაბამებოდა ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს, კერძოდ, არჩევითი საგნები არ მოსწავლეებისთვის არ იყო შეთავაზებული მოდულებისა და სემესტრების გათვალისწინებით. ექსპერტმა, დაადასტურა, რომ სკოლამ აღნიშნული უზუსტობა გამოასწორა.
ექსპერტ, მაკა ტუკვაძის განმარტებით, სკოლას შემუშავებული ჰქონდა მშობელთა ინფორმირების წესი. მშობლებთან ურთიერთობის დებულება უზრუნველყოფდა მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირებასა და მშობლის სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობას. გიმნაზიას, ასევე, შემუშავებული ჰქონდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, „სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასების, განხორციელებისა და გაუმჯობესების მექანიზმები“, რომლის საფუძველზეც, ხდებოდა სასწავლო-საგანმანათლებლო პროცესის შეფასება. ექსპერტის თქმით, აღნიშნულ დოკუმენტში მკაფიოდ იყო გაწერილი

გიმნაზიის შიდა ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებები, მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებისა და წახალისების აქტივობები.
ექსპერტმა, მაკა ტუკვაძემ, განაცხადა, რომ გიმნაზიაში შექმნილი იყო ხარისხის განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც ზრუნავდა დაწესებულების პედაგოგთა პროფესიულ განვითარებასა და კარიერულ წინსვლაზე. ექსპერტმა აღნიშნა, რომ გიმნაზიას, ასევე, შემუშავებული ჰქონდა შიდა ხარისხის გაუმჯობესების მექანიზმები, ხარისხის განვითარების ხედვა, მიზნები, ამოცანები და სტრატეგიები, რომელშიც აღწერილი იყო შიდა სასკოლო მონიტორინგის წესები და პირობები, კათედრების ფუნქციების გაძლიერების ინსტრუმენტები, მოსწავლეთა მიღწევების დინამიკის შესწავლა და შიდა სასკოლო ტრენინგების ორგანიზება.
მაკა ტუკვაძის თქმით, სკოლაში დასაქმებული იყო 40 თანამშრომელი, მათ შორის, 24 -მასწავლებელი, რომელთაგან 19 იყო უფროსი, 1- მოწვეული, ხოლო 4-უსტატუსო მასწავლებელი. თითოეულ მათგანთან დაწესებულებას გაფორმებული ჰქონდა შესაბამისი ხელშეკრულება.
საბჭოს თავმჯდომარემ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.
საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 265 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.
დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 24 აპრილის N64 გადაწყვეტილებით სკოლას ავტორიზაცია მიენიჭა 2017 წლის 24 აპრილს 6 წლის ვადით. სკოლა
შუამდგომლობდა საბჭოსთან, ავტორიზაციის მინიჭების შემთხვევაში, საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო 2023 წლის 28 მარტს.
საბჭოს წევრებმა ერთხმად გაიზიარეს წარმოდგენილი შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ-საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზიის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 265-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-7 პუნქტისა და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ-საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზიას (ს/კ: 443569005) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 265-ით. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად

განისაზღვრა 2023 წლის 28 მარტი. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვრა ქართული ენა.

4. შპს ალექსანდრე ღურწკაიას გიმნაზია-ჯიჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექპერტებმა: ლელა ჯაშმა და მაგდა ბარამიძემ.

ექსპერტმა, ლელა ჯაშმა, განაცხადა, რომ საავტორიზაციო ვიზიტი დაწესებულებაში განხორციელდა 2023 წლის 30 და 31 იანვარს. მისი განმარტებით, სკოლა მდებარეობდა ქალაქ ზუგდიდში, ცაიშვილის ქუჩა, N32-ში.

ლელა ჯაშმა ისაუბრა დაწესებულების ინფრასტრუქტურის შესახებ და აღნიშნა, რომ სკოლის შენობის მე-3-ე და მე-4-ე სართულზე მოწყობილი იყო მოწვეული მასწავლებლებისა და ტრენერებისთვის განკუთვნილი სასტუმრო, რომელშიც განლაგებული იყო საძინებლები და მოსასვენებელი ოთახები. აღნიშნულ სივრცეს დაწესებულება აქტიურად იყენებდა ზაფხულის პერიოდში. ექსპერტმა აღნიშნა, რომ აღნიშნული ფართი ვიზიტის პერიოდში არ იყო გამიჯნული სკოლის შენობისგან და ტერიტორიის ღობეზე მითითებული იყო აბრა წარწერით „სასტუმრო“, რაც ექსპერტების მიერ მიჩნეულ იქნა ხარვეზად, თუმცა, არგუმენტირებული პოზიციის დაფიქსირებისას დაწესებულებამ წარმოადგინა აღნიშნული ფართის იზოლირების დამადასტურებელი ფოტო, ვიდეო მასალა, ასევე, სკოლის შენობიდან გამიჯვნის დოკუმენტაციაც, რომლითაც სასწავლო ფართად განსაზღვრული იყო შენობის პირველი და მეორე სართული.

ექსპერტმა, ლალი ჯაშმა, განაცხადა, რომ ორივე დაწესებულებას ჰქონდა ერთი შესასვლელი, გარდა ამისა, სკოლის სააქტო დარბაზის, „არტ ჰოლის“ ფანჯრები (ღიობები) ემიჯნებოდა სასტუმროს. მისი განმარტებით, დარბაზში ტარდებოდა არა მხოლოდ მოსწავლეთა ღონისძიებები, არამედ, სპორტის გაკვეთილებიც უამინდობის შემთხვევაში. მისი განმარტებით, მესამე და მეოთხე სართულზე განთავსებულ ადამიანებს შეეძლოთ დარბაზში შეხედვა ღიობებიდან.

ექსპერტმა, ლელა ჯაშმა, განაცხადა, რომ სკოლას ჰქონდა გამართული ინფრასტრუქტურა, ნათელი და კეთილმოწყობილი ოთახები, რომლებიც აღჭურვილი იყო შესაბამისი რაოდენობის მერხებით. ასევე, მისი თქმით, ყველა საკლასო ოთახში განთავსებული იყო ჭკვიანი დაფა და კომპიუტერები. გარდა ამისა, დაწესებულებაში ფუნქციონირებდა მოდერნიზებული და, საჭირო მოწყობილობით აღჭურვილი საბუნებისმეტყველო ლაბორატორია. ექსპერტ, ლელა ჯაშის განმარტებით, მოსწავლეთა ინტერვიუირების შედეგად გამოვლინდა, რომ ბავშვებს განსაკუთრებულად უყვარდათ საბუნებისმეტყველო საგნები. ლელა ჯაშმა აღნიშნა, რომ დაწესებულების სველი წერტილები, მათ შორის, ადაპტირებული სველი წერტილები

მორგებული იყო მოსწავლეების საჭიროებებზე. სკოლაში შესასვლელსა და კიბეზე განთავსებული იყო ასაკეცი პანდუსიც. აქვე, ექსპერტმა დასძინა, რომ სკოლა ქმნიდა კეთილგანწყობილ და მამოტივირებელ გარემოს.
ექსპერტმა, ლელა ჯაშმა, განმარტა, რომ სკოლამ გაითვალისწინა ვიზიტის პერიოდში ექსპერტების მიერ მიცემული რეკომენდაცია, კერძოდ, შეიძინა საკაცე და გამოაცხადა ექიმის შესარჩევი კონკურსი, რადგან ექიმის კვალიფიკაცია არ შეესაბამებოდა კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. აქვე, ექსპერტმა, აღნიშნა, რომ დაწესებულების პირველ და მეორე სართულზე განთავსებული იყო კეთილმოწყობილი სივრცეები სადაც მოსწავლეებს ეძლეოდათ კომუნიკაციისა და სხვადასხვა აქტივობების განხორციელების საშუალება.
ექსპერტმა, ლელა ჯაშმა, აღნიშნა, რომ სკოლაში იყო აუზი, რომლის სარგებლობაც შეეძლოთ მოსწავლეებს. აუზით სარგებლობა. ლელა ჯაშმა დასძინა, რომ ვიზიტის პერიოდში აუზით არ სარგებლობდნენ სეზონური ვირუსებიდან გამომდინარე. მან, ასევე, განმარტა, რომ აუზს ცალკე შესასვლელი ჰქონდა და სკოლა დერეფნის საშუალებით უკავშირდებოდა აუზს. მისი განცხადებით, აუზის ზემოთ განთავსებული იყო სატრენაჟორო დარბაზი. ექსპერტ, ლელა ჯაშის განცხადებით, სკოლის მიერ არგუმენტირებული პოზიციისას წარმოდგენილ ვიდეოში ჩანდა, რომ დაწესებულებამ სასტუმროში შესასვლელი მოაწყო მეორე მხრიდან. აღნიშნული ვიდეოთი დასტურდებოდა სასწავლო შენობის გამიჯვნა სასტუმროსგან. ექსპერტმა აღნიშნა, რომ პირველ სართულზე, ასევე, განთავსებული, იყო სააქტო სპორტული დარბაზი - ივენთ ჰოლი, რომელიც წარმოადგენდა კომფორტულად მოწყობილ, რბილი სკამებით და ამფითეატრებით აღჭურვილ მაღალჭერიან სივრცეს. ივენთ ჰოლი აღჭურვილი იყო თანამედროვე აპარატურით: აკუსტიკური და განათების სისტემებით. ექსპერტის თქმით, სკოლისგან თავისუფალ დროს დაწესებულება იჯარით გასცემდა ივენთ ჰოლს სხვადასხვა ღონისძიების ჩასატარებლად, რაც დასტურდებოდა სკოლის მიერ წარმოდგენილი ხელშეკრულებებითა და ივენთ ჰოლის დებულებით.
ექსპერტმა, ლელა ჯაშმა ისაუბრა პირველი სტანდარტის შეფასების შედეგებზე. მან აღნიშნა, რომ დაწესებულების სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი იყო ეროვნული სასწავლო გეგმის მეორე თაობის რეგულაციები, ასევე, სკოლის მისია სხვადასხვა დოკუმენტში სკოლას განსხვავებული ფორმულირებით ჰქონდა ასახული. გარდა ამისა, სასკოლო სასწავლო გეგმაში შეფასების სქემა არ შეესაბამებოდა მოქმედ კანონმდებლობას, თუმცა, სკოლის სხვა დოკუმენტაციაში შეუსაბამობები შეფასების სისტემასთან დაკავშირებით არ გამოვლენილა. აღნიშნული, ასევე, დადასტურდა მასწავლებელთა ინტერვიურების პროცესშიც.
ექსპერტმა, ლელა ჯაშმა, ისაუბრა, ასევე, ადამიანური რესურსების შესახებ და აღნიშნა, რომ სკოლას ჰყავდა 23 პედაგოგი, მათ შორის, 2 მოწვეული, 15 უფროსი, 3 წამყვანი, 2 მენტორი მასწავლებელი, ხოლო 1 უსტატუსო, რომელსაც ვიზიტის პერიოდში უკვე მინიჭებული ჰქონდა უფროსი მასწავლებლის სტატუსი. აქვე, ლელა ჯაშმა დასძინა, რომ სკოლაში მასწავლებელთა მიღება ხორციელდებოდა კანონმდებლობის შესაბამისად.
ექსპერტის განცხადებით, თვითშეფასების კითხვარში სკოლას მოთხოვნილი ჰქონდა მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის 250-ით განსაზღვრა, თუმცა ლელა ჯაშის აზრით, დაწესებულების ფართი და რესურსი აკმაყოფილებდა 300 მოსწავლის რაოდენობას, ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა 55 ერთეული მერხის შეძენის დოკუმენტაცია.
ექსპერტმა, ლელა ჯაშმა, ისაუბრა სკოლის ძლიერ მხარეებზე და ასეთად დაასახელა დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მატერიალური რესურსი და ინვენტარი, მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის წარმატებით განხორციელება, სკოლაში არაფორმალური განათლების ხელშეწყობა, ასევე, პედაგოგთა პროფესიონალიზმი. აქვე, ექსპერტმა, ისაუბრა ვიზიტის პერიოდში დაფიქსირებული შეუსაბამობების შესახებ, რომელთა შორისაც, დაასახელა სკოლის ტერიტორიაზე სასტუმროს არსებობა სასწავლო შენობასთან ერთად, დაწესებულების დოკუმენტაციის შეუსაბამობები მოქმედ კანონმდებლობასთან. ექსპერტმა დაადასტურა, რომ სკოლის ხელმძღვანელმა გამოთქვა მზაობა აღნიშნული საკითხების გამოსწორების თაობაზე.

ლელა ჯაშმა აღნიშნა, რომ სკოლის ინკლუზიური განათლების კონცეფციაში გათვალისწინებული არ იყო სოციალური ფაქტორებითა და ენობრივი ბარიერით გამოწვეული სირთულეების მქონე მოსწავლეების იდენტიფიცირების საკითხები. ვიზიტის შემდეგ დაწესებულების მიერ შეტანილ იქნა აღნიშნულ კონცეფციაში ცვლილებები, დაზუსტდა სსსმ მოსწავლის განმარტება, კონცეფცია მოყვანილ იქნა შესაბამისობაში მოქმედ კანონმდებლობასთან. ექსპერტმა განმარტა, რომ სკოლამ ვიზიტის პერიოდში განახორციელა საკლასო ოთახებში არსებული ვიდეოკამერების დემონტაჟი, ასევე, შეცვალა ბიბლიოთეკის მდებარეობა და განათავსა პირველ სართულზე, დამოუკიდებელ სივრცეში, რის შედეგადაც, დაწესებულებას მიეცა ორი საკლასო ოთახის დამატების საშუალება. ექსპერტმა განაცხადა, რომ სკოლამ ექიმის პოზიციაზე გამოაცხადა კონკურსი. აქვე, ლელა ჯაშმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულთან ორჯერ ჰქონდა შესათანხმებლად გაგზავნილი უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი, თუმცა პასუხი სკოლას ვიზიტის პერიოდში არ ჰქონდა მიღებული.
ექსპერტმა, მაგდა ბარამიძემ აღნიშნა, რომ სკოლამ გაითვალისწინა ყველა რეკომენდაცია და წარმოადგინა შედეგები არგუმენტირებულ პოზიციაში. აქვე, მან დასძინა, რომ დაწესებულების ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი შეადგენდა 858 ერთეულს, მათ შორის, მხოლოდ 328 ერთეული წარმოადგენდა სახელმძღვანელოს. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სასურველი იყო სკოლის ბიბლიოთეკა ყოფილიყო უფრო მრავალფეროვანი და დიდი მოცულობის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეზუსტებინათ, სარგებლობდნენ თუ არა დაწესებულების მესამე და მეოთხე სართულზე განთავსებული სასტუმროს კლიენტები სკოლის ტერიტორიაზე არსებული კვების სერვისითა და სველი წერტილებით. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, ლელა ჯაშმა განაცხადა, რომ სკოლის განმარტებით, სასტუმრო ფუნქციონირებდა მხოლოდ არასასწავლო პერიოდში, ხოლო რაც შეეხებოდა სველი წერტილებთ სარგებლობის საკითხს, ექსპერტმა განმარტა, რომ სასტუმროს ყველა ოთახს გააჩნდა ინდივიდუალური საპირფარეშო.

საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 300 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.
საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ალექსანდრე ღურწკაიას გიმნაზია-ჯიჯის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის 300-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების

მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა, და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, შპს ალექსანდრე ღურწკაიას გიმნაზია - ჯიჯის (ს/კ: 220389559) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 300 - ით. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვრა ქართული ენა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ, საბჭოს სხდომა 17:50 წუთზე დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა